



ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 15

2020 წელი 25 სექტემბერი

ქ. ბალდათი

10:00 საათი

2020 წლის 25 სექტემბერს გაიმართა ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მათა კბილაშვილი, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, ალექსი ლომინაშვილი, შალვა დათუაძე, სიმონ ჭოლოკავა, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, მამუკა გორგოძე.

საკრებულოს წევრები: სულ 22 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: თორნიკე გაჩეჩილაძე, შადიმან გორგოძე, ზაზა ზივზივაძე, ირაკლი გოგსაძე, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, გაბრიელ ლიბრაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ამბერკი რობაქიძე - ა.ა.ი.პ. „ბალდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების დირექტორი.

ალექსანდერ წიქორიძე - ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

ლაშა ენდელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

ზანდა ჯიხვაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დიმიტრი თედოშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი.

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოიძე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა, დაესწრო 20 საკრებულოს წევრი (სხდომას არ დაესწრო: შალვა დათუაძე და რუსუდან გეწაძე).

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა -დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N 26 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. ამბერკვი რობაქიძე - ა.ა.ი.პ. „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების დირექტორი

თანამომხსენებელი: ა) ალექსანდერ წიქორიძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი

ბ) მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

2. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლაშა ენდელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

თანამომხსენებელი - ზანდა ჯიხვაძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ.

მომხს. დიმიტრი თედოშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე 2020 წლის მეოთხე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა -დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N 26 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე ისაუბრა და საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა ამბერკი რობაქიძემ - ა.ა.ი.პ. „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების დირექტორი.

დადგენილებით დაკისრებული დავალების თაობაზე ინფორმაცია წარმოადგინა: ალექსანდერ წიქორიძემ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტმა და მამუკა ხურციძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა, დადგენილების შესრულების თაობაზე წარმოადგინა გია სახამბერიძემ-საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

აზრი გამოთქვა:

შალვა მშვილდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, ირინა ტყეშელაშვილმა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასა და ცნობად მიიღო ამბერკი რობაქიძის ინფორმაცია დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 49 25.09.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტი წარმოადგინა ლაშა ენდელაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა.

დასკვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს გააცნო გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

აზრი გამოთქვა და თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა მაკა მესხმა-საკრებულოს წევრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 17 25.09.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 19 წინააღმდეგი - 1 (წინააღმდეგი-მაკა მესხი)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ.

დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: დიმიტრი თედომშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის

არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ნორმა ძირითადად შეეხებოდა ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

დასკვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 18 25.09.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე- 19 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დასკვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 50 25.09.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-19 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 19 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე 2020 წლის მეოთხე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სამუშაო გეგმა წარადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 51 25.09. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-19 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 19 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.